

კრიპტოვალუტებით ვაჭრობა, საინვესტიციო სტრატეგია და პრაქტიკა

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.02>

აბსტრაქტი

შრომა ეძღვნება ინვესტირების თანამედროვე მეთოდების, კრიპტოვალუტების ბაზრის მიმოხილვას, მათი განვითარების გზებსა და სტრატეგიებს ამ მიმართულებით. გაანალიზებულია კრიპტოვალუტის საინვესტიციო შესაძლებლობები; წარმოდგენილია დასკვნები თითოეული საინვესტიციო მეთოდის მთავარი უპირატესობებისა და ნაკლოვანობების, მათი რისკის დონის, განმაპირობელი ფაქტორებისა და საინვესტიციო მიმზიდველობის შესახებ.

სტატიაში ყურადღება არის გამახვილებული კრიპტოვალუტაში ინვესტირების ერთ-ერთ ძირითად მეთოდზე - სხვადასხვა მონეტის კურსის სპეკულაციაზე. კერძოდ, განხილულია სპეკულაციით შემოსავლის მიღების ორი სტრატეგია: პირველი-Buy&Hold („შეიძინე და შეინახე“), იგი გათვლილია გრძელვადიან ინვესტირებაზე, გულისხმობს კრიპტოვალუტის შექენას ბირჟაზე და გარკვეული დროით ანგარიშზე შენახვას; მეორე - Buy&Sell სტრატეგია („შეიძინე და გაყიდე“) განსხვავდება წინა სტრატეგიისაგან იმით, რომ გათვლილია მოკლევადიან ინვესტირებაზე.

წარმოდგენილ შრომაში მოკლედ გადმოცემულია კრიპტოვალუტაში ინვესტირების ფართოდ ცნობილი მეთოდი მაინინგი; ამ შემთხვევაში მთლიანი საქმიანობა ფუნქციონირებს ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე დაყრდნობით, ხოლო ბლოკჩეინის ეფექტიანობა პირდაპირ დამოკიდებულია კომპიუტერის გამოთვლით სიმძლავრეებზე. შედეგად მაინინგის მომგებიანობა შედარებით დაბალია, იგი საჭიროებს სპეციალურ, ძალიან ძვირდღირებულ აღჭურვილობას;

შრომაში შევისწავლეთ და შევეცადეთ გადმოგვეცა კრიპტოვალუტაში ინვესტირების ფართოდ გავრცელებული მეთოდი Initial Coin Offerings(ICO) („მონეტის სანყისი შეთავაზება“), რაც გულისხმობს -კრიპტოვალუტის გამოშვების გზით ინვესტიციური სახსრების მოზიდვის ფორმას პროექტის განხორციელებისთვის,



ლამარა ლაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეროვნული ინოვაციური საკვლევი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი
<https://orcid.org/0000-0002-8190-1016>
E-mail: lqoqiauri@yahoo.com

კრიპტოვალუტის გამოშვების გზით. დასაბუთებულია, რომ ზემოაღნიშნული ტექტიკა მოდის ტრადიციული ფინანსური ბაზრიდანაც - Initial Public Offering(IPO) („სანყისი საჯარო შეთავაზება“).

და ბოლოს, სტატიაში შეჯერებულია კრიპტოვალუტაში ინვესტირების მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები; წარმოდგენილია რამდენიმე მოკრძალებული რეკომენდაცია, რომლებიც ხელს შეუწყობს არსებული კაპიტალის გაზრდას და ინვესტიციური პორტფელის დივერსიფიკაციას.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა, ინვესტირება, ბლოკჩეინის ტექნოლოგია, ყიდვა-შენახვა, ყიდვა-გაყიდვა, მონეტის პირველადი შეთავაზება (ICO), პირველადი საჯარო შეთავაზება (IPO).

CRYPTOCURRENCY TRADING AND RECOMMENDATIONS FOR INVESTMENT STRATEGY AND PRACTICE

Lamara Qoqiauri

Doctor of Economics, Professor

Leading Scientific Worker of the National Innovative Research Institute

<https://orcid.org/0000-0002-8190-1016>

E-mail: lqoqiauri@yahoo.com

ABSTRACT

The work is devoted to an overview of modern investment methods, the cryptocurrency market, ways of their development and strategies in this direction. The article analyzes the investment opportunities of cryptocurrencies; presents conclusions about the main advantages and disadvantages of each investment method, the level of risk, determining factors and investment attractiveness.

The article considers one of the main methods of investing in cryptocurrency - speculation on the rates of various coins. In particular, two strategies for generating income through speculation are considered: the first is Buy&Hold, it is designed for long-term investment, involves buying cryptocurrency on the exchange and storing it in an account for a certain period of time; the second - the Buy&Sell strategy differs from the previous one in that it is designed for short-term investment.

The presented work briefly describes a widely known method of investing in cryptocurrency - mining; in this case, all activities are based on blockchain technology, and the efficiency of the blockchain directly depends on the computing power of the computer. As a result, the profitability of mining is relatively low, special, very expensive equipment is required;

In this paper, we have studied and tried to convey to the reader a widespread method of investing in cryptocurrency — initial coin offering (ICO), which means a form of attracting investment funds for the implementation of a project by issuing cryptocurrency. It is argued that the above tactics are also borrowed from the traditional financial market — initial public offering (IPO).

In conclusion, the article summarizes the pros and cons of cryptocurrency investment methods; several simple recommendations are presented that will help increase your existing capital and diversify your investment portfolio.

Keywords: Cryptocurrency, Investing, Blockchain technology, Buy&Hold, Buy&Sell, Initial Coin Offering (ICO), Initial Public Offering (IPO).



შესავალი

კრიპტო ეკონომიკის განვითარება უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად შეცვლის მომსახურების, საქონლის, უფლებებისა და აქტივების ინფორმაციის გაცვლის სისტემას. კრიპტოვალუტების ვაჭრობა არა მხოლოდ კერძო, არამედ ინსტიტუციონური ინვესტირების ყურადღებასაც იპყრობს მსოფლიო მასშტაბით. ეს დაკავშირებულია როგორც სარგებლის მიღების, ასევე ახალ ურთიერთობათა სისტემაში მონაწილეობის სურვილთან.

კრიპტოვალუტებით ვაჭრობა რთული საქმიანობაა, ვიდრე ერთი ნახვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს. წარმატებისათვის ამ ბაზარზე ინვესტირებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ცოდნა და ჩაატარონ კვლევა კრიპტოვალუტის სხვადასხვა ასპექტზე. პირველ რიგში მნიშვნელოვანია ბლოკჩეინის ტექნოლოგიის და კონკრეტული კრიპტოვალუტური პროექტების მუშაობის პრინციპების კარგად გაგება, რადგან თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი უნიკალური მახასიათებლები და მიზნები.

კრიპტოვალუტებით ინვესტირების პროცესში გასათვალისწინებელია:

- კრიპტოვალუტებში ინვესტირების პლიუსები და მინუსები

კრიპტოვალუტის ბაზარი, რომელიც კვლავ სწრაფი

განვითარების სტადიაში იმყოფება, მრავალ შესაძლებლობასთან ერთად პრობლემებსაც გვთავაზობს. ინვესტირების ეს თანამედროვე ფორმა, რომელიც ბლოკჩეინ ტექნოლოგიას ეფუძნება, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს. კრიპტოვალუტებისა და ბლოკჩეინის დადებითი და უარყოფითი მხარეების გაცნობა აუცილებელია ნებისმიერი დამწყები (და არა მხოლოდ) ინვესტირებისთვის.

• კრიპტოვალუტების მრავალფეროვნება

ბიტკოინის გარდა, სხვა მსხვილი კრიპტოვალუტებიც, როგორცაა Ethereum და Ripple, სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობენ ინვესტირებისა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიის ენთუზიასტების მხრიდან. Ethereum გამოირჩევა სმარტ-კონტრაქტების პროგრამირების შესაძლებლობებით, რაც დეცენტრალიზებული აპლიკაციების (DApps) და მომხმარებელზე მორგებული ტოკენების შექმნის საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, Ripple კონცენტრირებულია ფინანსური ინსტიტუტებისთვის სწრაფი და იაფი საერთაშორისო გადარიცხვების უზრუნველყოფაზე, რაც მას ბანკების სექტორისთვის მიმზიდველად აქცევს. ეს ფუნქციური განსხვავებები ნიშნავს, რომ როგორც Ethereum, ისე Ripple ინვესტირებს კრიპტოვალუტის ბაზარზე მოგების მიღების სხვადასხვა შესაძლებლობას სთავაზობს და ამავე დროს

ხელს უწყობს ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინოვაციური გადაწყვეტილების განვითარებას.

• გამოყენება რეალურ სამყაროში

ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები პოულობენ გამოყენებას სხვადასხვა დარგში, ახალ ინოვაციებს შემოაქვთ და ეფექტიანობას ზრდიან მრავალ სფეროში. ფინანსურ სექტორში ბლოკჩეინი უზრუნველყოფს სწრაფ და უსაფრთხო ტრანზაქციებს, გამორიცხავს შუამავლების საჭიროებას და ამცირებს ანგარიშსწორების დროს. კრიპტოვალუტები, როგორცაა ბიტკოინი, ტრადიციული გადახდის ფორმების ალტერნატივად იქცევა. ლოგისტიკის სფეროში ბლოკჩეინის ტექნოლოგია გამოიყენება მინოდების ჯაჭვის თვალყურის დევნისთვის. ის შესაძლებელს ხდის წარმოების, ტრანსპორტირებისა და მინოდების თითოეული ეტაპის კონტროლს, რაც გამორიცხავს დარღვევებს, ამცირებს ხარჯებს და ზრდის გამჭვირვალობას. ბლოკჩეინზე დაფუძნებული ტოკენები შეიძლება გამოიყენებულ იქნას მინოდების ჯაჭვის სხვადასხვა მონაწილეს შორის გადახდის პროცესების ავტომატიზაციისთვის.

• პოტენციური განვითარება

მომავალში ბლოკჩეინთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად იმოქმედონ კრიპტოვალუტების ღირებულებაზე. განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის მასშტაბურობა, ანუ ბლოკჩეინის უნარი ერთდროულად მეტი რაოდენობის ტრანზაქციის დამუშავებაზე. ახალი პროტოკოლები და გადაწყვეტილებები მიზნად ისახავს ქსელის გამტარუნარიანობის ზრდას, რაც შეიძლება კრიპტოვალუტებს უფრო ეფექტიან და მიმზიდველ აქტივად აქციოს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირების განვითარება და უსაფრთხოების უფრო რთული მეთოდები შეიძლება გავლენას ახდენდეს ინვესტორებისა და მომხმარებლების ნდობაზე, რაც თავის მხრივ აისახება კრიპტოვალუტების საბაზრო ღირებულებაზე. საბოლოო ჯამში, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს კრიპტოვალუტების მომავალს და მათ საბაზრო ფასს.

შესწავლის დონე

ფინანსური ბაზრის ახალი ტექნოლოგიების შესახებ დღესდღეობით დიდ დაინტერესებას აქვს ადგილი. ჩვენს მიერ შესწავლილ თემას ეძღვნება მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია სტატიებისა, პოპულარული ხასიათის ესეების სახით. ამასთან დაკავშირებით მოვიძიეთ და გავეცანით ნ. პოპპერის და ა. ტეპსკოტების (2016), ა. ანტონოპოულისის (2010), ბაუერის (2019), მ. არაბაშვილის, რ. გულიაევის (2020), ტ. პლოტნიკოვას და ვ. ხარინის (2020), რ. აბდერაჰმის და კ. რეჯების (2023), ე. ტაბატაძის (2020), ნ. კანდელაკის (2019), მ. სვენის (2015), ლ. მამალაძის (2019), ე. ლეკაშვილის (2018), მ. მალრაძის და მ. სიჭინავას (2022), პ. ვინია და მ. კეისის (2017), დ. პეტიაშვილის (2022), ნ. სრესელის და ლ. კოზმაშვილის (2022) და სხვათა პოპულარულ სამეცნიერო ნაშრომებს.

სამეცნიერო თვალსაზრისით, ნაშრომი ეფუძნება ფინანსური ბაზრის ახალი ტექნოლოგიების, კრიპტოვალუტების როგორც ფულის ახალი ფორმის წარმოშობისა და განვითარებისადმი მიძღვნილ უცხოურ და

საქართველოში გამოსულ თანამედროვე კვლევებს და პუბლიკაციებს.

პირადად ჩემთვის, როგორც სამეცნიერო სფეროს, ინვესტიციებისა და ინვესტირების პრობლემების მკვლევარისათვის, მნიშვნელოვანია კრიპტოვალუტის საინვესტიციო ასპექტები, ასევე ეროვნული ციფრული ვალუტის დანერგვის და განვითარების საკითხი, მისი გავლენა კრიპტოვალუტის ბაზრის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სამუშაოს მიზანია ძირითადი კრიპტოვალუტის როგორც საინვესტიციო ინსტრუმენტის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

მეთოდოლოგია

მეცნიერული სტატისტიკის გამოყენებულია ზოგადსამეცნიერო, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორების თეორიული კვლევები მსოფლიო ეკონომიკის და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში; სტატისტიკური მონაცემები კრიპტოვალუტის ოპერაციებზე, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ცხადია, ადგილობრივი და უცხოური სააგენტოების ანალიტიკური კვლევების შედეგები.

ძირითადი ნაწილი

ინვესტირება ფულადი სახსრების განთავსების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს, არსებული ფინანსური კაპიტალის შესანარჩუნებლად და გასაადიდებლად [1]. ბოლო წლების არასტაბილური გარემოს ფონზე, ადამიანები სულ უფრო ხშირად იწყებენ ფიქრს შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციისა და უკვე არსებული კაპიტალის გაზრდის აუცილებლობაზე. მიუხედავად რისკებისა, ახალი პროდუქტის ვაჭრობით დაინტერესებულთა რაოდენობა იზრდება. განვიხილოთ კრიპტოვალუტაში ინვესტირების ყველაზე ხშირად გამოყენებული გზები და მეთოდები.

არსებობს მრავალი ვებგვერდი, რომლებიც აგროვებს კონკრეტული კრიპტოვალუტის ყიდვა-გაყიდვის წინადადებებს „ხელიდან ხელში“ პრინციპით. ინვესტორი, არჩევს მისთვის სასურველ შეთავაზებას, იხდის თანხას საბანკო ბარათით და იღებს საკუთარ საფულეში შესაბამის რაოდენობის „მონეტებს“, ხოლო შუამავალი ვებგვერდი გარანტიად გამოდის გარიგების შესრულებაში. ასეთ გარიგებებში ფასი განისაზღვრება გამყიდველის სურვილით და ხშირად საგრძნობლად განსხვავდება ბირჟის კოტირებებისგან. გარდა ამ ნაკლისა, ბოლო დროს ზოგიერთ ქვეყანაში ბანკები ამ ტიპის ოპერაციებს ბლოკავენ, რათა თავიდან აიცილონ არის ვაჭრობა ბირჟის მეშვეობით. ინვესტორი რეგისტრირდება კრიპტოვალუტებით ვაჭრობის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ბირჟაზე, სადაც, კლიენტის ვერიფიკაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების (მოქალაქეობა, საცხოვრებელი მისამართი და ა.შ.) წარდგენის შემდეგ, შეუძლია ვაჭრობა. თუმცა, ასეთი ყიდვის მეთოდი გარკვეულ რისკებს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიურს. ბირჟები ხშირად ვერ უმკლავდებიან მომხმარებელთა ნაკადს და ხანდახან გადადიან ოფლაინ რეჟიმში, რაც საფრთხეს უქმნის კლიენტების განკარგულებების (ორდერების) შესრულებას. გარდა ამისა, ისინი ხდებიან ჰაკერული შეტევების სამიზნე,

რაც ინვესტორს მათ ანგარიშებზე არსებული აქტივების დაკარგვას. ვაჭრობის ონლაინ პლატფორმების საქმიანობის მკაფიო რეგულირების არარსებობა იზიდავს ამ ინდუსტრიაში თაღლითებს, რომლებიც გარკვეული პერიოდის მუშაობის შემდეგ ხურავენ ბირჟას და ქრებიან ყველა მომხმარებლის ფულთან ერთად.

კრიპტოვალუტის ბაზარში ინვესტირების ყველაზე უსაფრთხო გზა დღეს არის ხანგრძლივი ისტორიის მქონე საბროკერო კომპანიების მეშვეობით დაბანდება. ვერიფიკაციის პროცედურა (KYC – know your client procedure) უფრო მკაცრია: ინვესტორმა უნდა ახსნას კრიპტოვალუტის შესაძენად გამოყენებული თანხების წარმომავლობა. ბროკერის მომსახურების ღირებულება ზრდის „მონეტების“ შეძენის ხარჯებს, თუმცა ასეთი მეთოდი ამცირებს რისკებს. ლიცენზირებული საბროკერო კომპანია მუდმივად იმყოფება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსა და სავალდებულო აუდიტორების კონტროლის ქვეშ, რაც მინიმუმამდე ამცირებს თაღლითობის რისკს. ტექნოლოგიური რისკები მცირდება სპეციალიზებულ მონეობილობებსა და პროგრამულ საშუალებებში სავალდებულო კაპიტალდაბანდების ხარჯზე, რაც უზრუნველყოფს ოპერაციების უსაფრთხო შესრულებას. გარდა ამისა, ბროკერთან თანამშრომლობა ინვესტორს საშუალებას აძლევს ოფიციალურ ბირჟაზე შეიძინოს ფიუჩერული კონტრაქტი, რითაც ყველაზე „ცივილიზებულ“ გზას ირჩევს კრიპტოვალუტის ბაზარში ინვესტირებისათვის. ეს არის ყველაზე დაცული გზა სამართლებრივი თვალსაზრისით, შედარებით იმ მეთოდებთან, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი.

საინვესტიციო სტრატეგიები კრიპტო ბაზარებზე

კრიპტოვალუტის ბაზარზე შეიძლება რეკომენდაცია გაენიოს შემდეგ საინვესტიციო სტრატეგიებს: ყველაზე მარტივი იქნება ბიტკოინის შეძენა ერთი წლიდან 2-3 წლამდე ვადით. პირველი კრიპტოვალუტის კრიტიკოსები ჩვეულებრივ მიუთითებენ მის ტექნოლოგიურ არასრულყოფილებაზე „უმცროს ძმებთან“ შედარებით. თუმცა სწორედ ბიტკოინი რჩება ძირითად საშუალებად ფიატიდან კრიპტოვალუტაში გადასასვლელად, იგი ფაქტობრივად უზრუნველყოფს კაპიტალის გადაადგილებას ტრადიციულ ფინანსურ სისტემასა და კრიპტოეკონომიკას შორის. დიდი ალბათობით, ასეთი მდგომარეობა შენარჩუნდება აღნიშნულ ვადაში.

დივერსიფიკაციის უფრო მაღალი ხარისხის მისაღწევად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს პორტფელი ბიტკოინისა და „მიმი“ (10 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი კაპიტალიზაციის მქონე) ალტკოინებისგან, რომლებიც შედიან „მილიარდერების კლუბში“, მათი წილის პროპორციულად არჩეული „მონეტების“ საერთო კაპიტალიზაციაში. რისკის გაზრდას და, შესაბამისად, მოსალოდნელი მოგების უფრო მაღალ მოლოდინს შეუძლია უზრუნველყოს პორტფელი, რომელიც შედგება „penny stock“ კატეგორიის, ანუ მცირე კაპიტალიზაციის მქონე „მონეტებისგან“ და რომლებიც ალტკოინების სიის ბოლოსთან ახლოს არიან. ინვესტიციის ობიექტების შერჩევა შეიძლება იყოს შემთხვევითი ან დაფუძნებული იმ ტექნოლოგიის ან ბიზნეს-მოდელის ინტუიციურ

ანალიზზე, რომელიც კონკრეტული მონეტის უკან დგას. პორტფელის დიდი ნაწილი, დიდი ალბათობით, მოგებას არ მოიტანს ან ზარალით დასრულდება, თუმცა 1-2 კრიპტოვალუტა შეიძლება სავსებით ანაზღაუროს ყველა დანაკარგი.

განსაკუთრებულ განხილვას იმსახურებს საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც ეფუძნება მრავალი პროექტის მონეტების შეძენას, რომლებმაც საკუთარი ელექტრონული პირობითი ერთეულები — ტოკენები გამოუშვეს ICO-ს ფარგლებში. არსებითად, ეს წარმოადგენს ვენჩურულ ინვესტირებას ბლოკჩეინ-პროექტებში. ასეთი პროექტების დამფუძნებლები რეკლამირებენ საკუთარ ბიზნესს, რომელიც ხშირად ჯერ კიდევ იდეის ეტაპზეა და არ დაუმტკიცებია თავისი სიცოცხლისუნარიანობა. თუმცა, კრიპტოვალუტის ბაზრის გარშემო არსებული დღევანდელი აჟიოტაჟი მათ საშუალებას აძლევს, მოიზიდონ სახსრები განვითარებისათვის.

სტატისტიკის მიხედვით, ასეთი პროექტების დიდი ნაწილი (90%-მდე) აღმოჩნდება ხოლმე, - თუმცა, ისევე როგორც „penny stock“-ის შემთხვევაში, 1-2 პროექტმა შეიძლება მოიტანოს მოგება (მაგალითად, ICO-ს ფარგლებში განთავსებული Stratis-ის მონეტების ღირებულება ერთ წელიწადში 151 082%-ით გაიზარდა). რისკების შესამცირებლად, ინვესტორმა მსგავსი პროექტებში თანხის ჩადება ჯობია განახორციელოს პროფესიონალური ფონდების მეშვეობით, რომლებიც პერსპექტიული ICO-ების შერჩევით არიან დაკავებული.

ტრადიციული ინვესტირების მეთოდებთან ერთად, როგორცაა უცხოური ვალუტის შეძენა, ინვესტირება ფასიან ქალაქებში, ბირჟის ფონებში (ETF) ან საინვესტიციო ფონდებში (ПИФ), ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად განიხილება ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტების ტექნოლოგიები. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ეს სფერო ყოველწლიურად სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს თემის აქტუალობას.

ინვესტირება ფულადი სახსრების განთავსების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს არსებული ფინანსური კაპიტალის შესანარჩუნებლად და გასაადიდებლად [1].

ბოლო წლების არასტაბილური გარემოს ფონზე, ადამიანები სულ უფრო ხშირად იწყებენ ფიქრს შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციისა და უკვე არსებული კაპიტალის გაზრდის აუცილებლობაზე.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საინვესტიციო ინსტრუმენტი არის უცხოურ ვალუტაში ინვესტირება. ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია და მისი ღირებულება მოკლე ვადაში შედარებით მცირე მერყეობით ხასიათდება.

პანდემიამ, გახშირებულმა ფინანსურმა კრიზისებმა, ეროვნული ვალუტების დოლართან და ევროსთან მიმართებით გაუფასურებამ ძლიერ უარყოფითად იმოქმედა ინვესტიციებზე. ამიტომ, ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ფულადი დანახოვები შედარებით სტაბილურ უცხოურ ვალუტაში დააბანდეს, მოგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

საინვესტიციო საქმიანობის კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს ფასიანი ქალაქების შეძენა საფონდო ბირჟაზე, მაგალითად, აქციებისა და ობლიგაციების.

ობლიგაციები მათ მფლობელს აძლევს უფლებას, განსაზღვრულ ვადაში ემიტენტისგან (გამომცემისგან) მიიღოს ამ ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება. ობლიგაციის ემიტენტი შეიძლება იყოს როგორც კერძო კომპანია, ასევე სახელმწიფო. ობლიგაციების ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელია წინასწარ შეფასდეს მომგებიანობა და სარგებელი.

აქციები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საინვესტიციო ფორმად ითვლება, ასევე მაღალი რისკიანობით ხასიათდება. აქციების შეძენისას ინვესტორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი, რომელიც მათ ღირებულებაზე ახდენს გავლენას: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებები, ანალოგიური და სხვა ფასიანი ქაღალდების კოტირებები და სხვა. თუმცა ამ საინვესტიციო მეთოდების გონივრული გამოყენების შემთხვევაში, დიდი ალბათობით შესაძლებელია კაპიტალის გაზრდა.

21-ე საუკუნეში ციფრული ეკონომიკა თანამედროვე მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური სისტემის სხვადასხვა სფეროზე. შესაბამისად, ინვესტირების სფეროში ამ სფეროს შესაძლებლობების უგულვებელყოფა შეუძლებელია. ბლოკჩეინის ტექნოლოგია — ციფრული ეკონომიკის ერთ-ერთი ელემენტია, რომლის საფუძველზეც შეიქმნა კრიპტოვალუტა.

კრიპტოვალუტაში ინვესტირების ძირითადი მეთოდები

დღესდღეობით არსებობს კაპიტალის მოცულობის მოსამატებლად კრიპტოვალუტის გამოყენების არაერთი განსხვავებული მეთოდი — განვიხილოთ თითოეული მათგანი დეტალურად.

კრიპტოვალუტაში ინვესტირების ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს სხვადასხვა მონეტის კურსზე სპეკულაცია. კურსის სტაბილური ზრდის პირობებში, თუნდაც მცირე სანყისი ინვესტიციის შემთხვევაშიც კი, ადამიანს შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი კაპიტალი.

ეჭვგარეშეა, რომ კრიპტოვალუტა, მიუხედავად მისი მიმზიდველი შემოსავლიანობისა, ითვლება მაღალი რისკის მქონე აქტივად, ამის მიზეზად კი რამდენიმე ფაქტორი სახელდება: პირველ რიგში, არსებობს ფულადი სახსრების დაკარგვის მაღალი ალბათობა ბირჟაზე შენახვის ან გადარიცხვისას, და ვინაიდან კრიპტოვალუტის ბაზარი არ რეგულირდება არცერთი ინსტიტუტის მიერ, დაკარგული თანხების დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

გარდა ამისა, ყველაზე სანდო კრიპტოვალუტების კურსიც კი შეიძლება კვირის განმავლობაში 20-30%-ით მერყეობდეს. გამოცდილი ინვესტორები რეკომენდაციას იძლევიან, რომ ინვესტირება ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა მონეტაში განხორციელდეს.

BUY AND HOLD სტრატეგია („შეიძინე და შეინახე“)

არსებობს სპეკულაციით შემოსავლის მიღების ორი სტრატეგია: Buy and Hold და Buy and Sell. Buy and

Hold სტრატეგია („შეიძინე და შეინახე“) გათვლილია გრძელვადიან ინვესტირებაზე და გულისხმობს კრიპტოვალუტის შეძენას ბირჟაზე და გარკვეული დროით ანგარიშზე შენახვას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სქემა ერთი შეხედვით მარტივი და მოსახერხებელია, დამწყები ინვესტორები ხშირად ვერ იყენებენ მას ეფექტიანად და საკუთარი გამოუცდელობის გამო შესაძლოა ზარალიც განიცადონ.

განვიხილოთ ამ სტრატეგიის ზოგიერთი თავისებურება:

1. პირველ რიგში, სტრატეგია იწყება იმ აქტივების შეძენით, რომელთაც მომავალში ზრდის მაღალი პოტენციალი გააჩნიათ. ამ ეტაპზე ინვესტორმა დეტალურად უნდა შეისწავლოს პროექტის შესახებ ინფორმაცია, მისი სარგებელი და მნიშვნელობა როგორც ბაზრისთვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის, რადგან სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს მონეტის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ღირებულების ზრდის პერსპექტივებს.

Buy and Hold სტრატეგია არ იქნება ეფექტიანი იმ პროექტებისთვის, რომლებიც ფასში მნიშვნელოვნად გაიზარდნენ მხოლოდ რეკლამისა და არაორდინარული კონცეფციის ხარჯზე, თუმცა რეალური მნიშვნელობა არ გააჩნიათ - რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ღირებულება, დიდი ალბათობით, შემცირდება.

2. მეორე მხრივ, ამ სტრატეგიისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია აქტივის ხანგრძლივი ვადით შენარჩუნება. თუმცა მაშინ, როცა ტრადიციულ ფინანსურ ბაზრებზე 10-20 წლიანი ვადები სრულიად მისაღებად ითვლება, კრიპტოვალუტის ბაზარზე ამჟამად შეუძლებელია რომელიმე მონეტის მდგომარეობის წინასწარ პროგნოზირება ათწლეულების მანძილზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ინვესტირების ხანგრძლივობას.

3. გარდა ამისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ კრიპტოვალუტის ბაზრის ხშირი მერყეობის გამო, მონეტის ღირებულება შეიძლება ყოველდღიურად რამდენჯერმეც კი შეიცვალოს, რაც დამწყებ ინვესტორებში ხშირად ინვესს ეჭვებს მონეტის სწორად შერჩევის შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ დროს ვარდენების შეჩერება და აქტივის ანგარიშზე შენახვის გაგრძელება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრატეგიის მთელი არსი იკარგება.

Buy and Hold სტრატეგიის უპირატესობებს შორის აღსანიშნავია, პირველ რიგში, მისი სიმარტივე და ერთგვარი „კომფორტი“ - ინვესტორს არ უნევს დღის განმავლობაში რამდენჯერმე ბაზრის მდგომარეობის შემოწმება, რაც მნიშვნელოვნად ზოგავს დროს. უფრო მეტიც, სწორად შერჩეული აქტივების შემთხვევაში, შესაძლებელია სანყისი ინვესტიციის მნიშვნელოვნად გაზრდა, ვინაიდან, ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, ბევრი მონეტის ღირებულება ერთ წელიწადში ასობით ან თუნდაც ათასობით პროცენტით იზრდება.

თუმცა, ამ სტრატეგიას გარკვეული სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს. მაგალითად, პერსპექტიული აქტივის შერჩევის ეტაპზე ინვესტორს სჭირდება განსაკუთრებული სიფრთხილე და პასუხისმგებლობა, რადგან სწორედ ამ არჩევანზე დამოკიდებული მომავალი მოგების მიღება. გარდა ამისა, ბაზრის არასტაბილურო-

ბის გამო, კურსის ვარდნის ალბათობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ტრადიციული ინვესტირების მეთოდების შემთხვევაში, რის გამოც ინვესტორს შესაძლოა მთლიანად დაეკარგოს ყველა ინვესტირებული თანხა.

BUY AND SELL სტრატეგია („შეიძინე და გაყიდე“) სტრატეგიის არსი

Buy and Sell სტრატეგია („შეიძინე და გაყიდე“) განსხვავდება წინა სტრატეგიისგან იმით, რომ გათვლილია მოკლევადიან ინვესტირებაზე. ამ შემთხვევაში, მოგების მისაღებად გამოიყენება ბაზრის მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია სხვადასხვა სიახლეებით, ცნობილი ადამიანების განცხადებებითა და ზოგადი ბაზრის განწყობით.

Buy and Sell სტრატეგიისათვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ტრეიდინგის სფეროში სიღრმისეული ცოდნა და უნარები, ამიტომ ის არ არის შესაფერისი გამოუცდელი ინვესტორებისთვის. განსხვავებით Buy and Hold სტრატეგიისგან, ამ შემთხვევაში ეფექტიანია ისეთი პროექტები, რომლებიც პოპულარობა მოიპოვეს სხვადასხვა ახალ ამბავზე ან ცნობილი ადამიანების განცხადებებზე დაყრდნობით. გამოცდილი ტრეიდერები ზუსტად იციან, როდის დგება პიკი და როგორ უნდა გაყიდონ ვალუტა მაქსიმალური მოგების მისაღებად.

მაინინგი, როგორც კრიპტოვალუტაში ინვესტირების მეთოდი

კრიპტოვალუტაში ინვესტირების კიდევ ერთ მეთოდს წარმოადგენს მაინინგი. მაინინგი - ეს არის ვირტუალური ფულის, ანუ კრიპტოვალუტის შექმნის პროცესი. მთლიანი საქმიანობა ფუნქციონირებს ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე დაყრდნობით, ხოლო ბლოკჩეინის ეფექტიანობა პირდაპირ დამოკიდებულია კომპიუტერის გამოთვლით სიმძლავრეზე [6].

ამ მეთოდის მეშვეობით ადამიანს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე განსხვავებული მონეტის მოპოვება, და იმ შემთხვევაში, თუ მათი ღირებულება არ იცვლება, შემოსავალი განაგრძობს ზრდას. მაინინგ ფერმის მფლობელს შეუძლია ასევე ფერმა გააქირავოს სხვა მომხმარებლებზე. თუმცა, წინა მეთოდთან შედარებით, მაინინგის მოგებიანობა შედარებით დაბალია. გარდა ამისა, ეს პროცესი საჭიროებს სპეციალურ, ძალიან ძვირადღირებულ აღჭურვილობას.

INITIAL COIN OFFERING (ICO) და INITIAL PUBLIC OFFERING (IPO) მეთოდების მოკლე მიმოხილვა

კრიპტოვალუტაში ინვესტირების კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდია Initial Coin Offering (ICO). ინგლისურად ეს ნიშნავს “მონეტის საწყისი შეთავაზება”, რაც გულისხმობს ინვესტიციური სახსრების მოზიდვის ფორმას პროექტის განვითარებისათვის - კრიპტოვალუტის გამოშვების გზით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტექტიკა მოდის ტრადიციული ფინანსური ბაზრიდანაც, სადაც მას ეწოდება IPO (Initial Public Offering - „საწყისი საჯარო შეთავაზება“). თუმცა, განსხვავებით IPO-სგან, ICO არ იძლევა კომპანიის წილის ფლობის შესაძლებლობას და შესაბამისად — არც რომელიმე მართვაში მონაწილეობის უფლებას.

ამ მეთოდის უპირატესობად შეიძლება დასახელდეს უკიდურესად მაღალი შემოსავალი და შედარებით დაბალი შესვლის ბარიერი - საწყისი ინვესტიციები შეიძლება ასობით ან თუნდაც ათასობით პროცენტით იქნას ამოღებული. გარდა ამისა, რომელიმე პროექტში ინვესტირება ხელმისაწვდომია ნებისმიერ მსურველისთვის.

საწყის ეტაპზე ტოკენების ფასი მნიშვნელოვნად დაკლებულია, და ინვესტორებს შეუძლიათ გარკვეული რაოდენობის ტოკენის შექმნა შედარებით მცირე თანხად. შემდგომში, პროექტის განვითარებასთან ერთად, კურსი იზრდება, რაც მოგებას მოუტანს როგორც ინვესტორებს, ისე თავად დეველოპერებს. თუმცა, მიუხედავად იმ პირობებისა, რომლებიც ერთი შეხედვით საკმაოდ მომგებიანად გამოიყურება, ICO შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან რისკებს.

უპირველესყოფისა, ყველა ინვესტიცია ეფუძნება ნდობას დეველოპერების მიმართ, ხოლო პროექტები არ უზრუნველყოფენ ინვესტორებისთვის არანაირ სამართლებრივ დაცვას. გარდა ამისა, არსებობს მაღალი რისკი, რომ ინვესტორი წააწყდეს თაღლითურ პროექტს, რომლის ავტორებიც თანხის მიღებისთანავე ხურავენ პროექტს და ქრებიან.

კრიპტოვალუტაშიან წარმოქმნილი ინსტრუმენტების (ტოკენების) ბაზრის ფუნქციონირების მიქანიზმი

კრიპტოვალუტის საფუძველზე ჩნდება და კლასიკურ საფონდო ბაზართან პარალელურად ვითარდება კრიპტოვალუტის წარმოებული დერივატივების (ინსტრუმენტების) ბაზარი — ICO (Initial Coin Offering). ICO წარმოადგენს კაპიტალის მოზიდვის ინსტრუმენტს, რომელიც ეფუძნება ინვესტორებს შორის ტოკენების (მონეტების) განთავსებას საინვესტიციო პროექტის დაფინანსებისთვის. ICO ორგანიზებულია შემდეგი პრინციპით: ემიტენტი კომპანია ქმნის კრიპტოგრაფიულ ტოკენს და ტოკენებს კრიპტოვალუტის სანაცვლოდ განათავსებს (ყიდის) ინვესტორებს სპეციალურ კრიპტობირჟაზე. ICO, კრიპტოვალუტის ბაზრისგან განსხვავებით შეიცავს საინვესტიციო კომპონენტს, ფუნქციონირებს პარალელურად IPO-ს ბაზართან და კონკურირებს მასთან ინვესტორების ფულის მოდინებაში (მოზიზღვაში).

ICO-სა და IPO-ს ამოსავალი მიზნები მსგავსია — ფულის მიღება ფინანსურ ბაზარზე და შემდგომი მისი დაბანდება საინვესტიციო პროექტებში. ისინი განსხვავდებიან შემდეგი კრიტერიუმებით:

- განსხვავდება საფონდო პროდუქტი. ჯერ ერთი IPO-ს საფონდო პროდუქტია ფასიანი ქაღალდები, უმეტესად აქციები. IPO-ს ფარგლებში აქციების ყიდვით ინვესტორები იძენენ კომპანიის აქციონერის სტატუსს. ICO-ს საფონდო პროდუქტი არის ტოკენები. ტოკენი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. მეორეც, ტოკენის ერთიანი განსაზღვრება არ არსებობს. ICO-ში ტოკენი შეიძლება იყოს რაღაც — ციფრული კუპონი, რაიმეს შექმნაზე ოპციონი, წვდომა რომელიმე სერვისზე, ციფრული პროდუქტი და ა.შ.;
- ტოკენები, ისევე როგორც კრიპტოვალუტა, მიეკუთვნებიან ციფრულ ფულს. ამიტომ ICO ფუნქციონირებს პრინციპულად ახალ ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე;

- IPO მკაცრ რეგულირებას ექვემდებარება კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო ICO არის სრულიად დეცენტრალიზებული სისტემა. უმეტეს ქვეყანაში არ მართავენ ICO-ს პროცესს;

- ICO-ს ზრდამ (ამოძრავებს როგორც მოცულობით, ისე რაოდენობით) შექმნა საკუთარი ინფრასტრუქტურა: სერვისები ICO-ს შეფასებისთვის, ონლაინ კალენდრები პრაიმარული განაწილებისთვის, ამ მიმართულების სიახლეების არხები და უმრავლესი სხვა.

- ემისიის ჩატარების ხარჯები განსხვავებულია. ICO-ს ხარჯები მრავალჯერ ან ერთი ნაბიჯით ნაკლებია IPO-სთან შედარებით. ამის მიზეზი ორი მიზეზია:

- ტექნიკურად ციფრული ტოკენის გამოშვება მარტივია. „ტექნოლოგიის განვითარებამ გამოიწვია პლატფორმების გაჩენა სახსრების შეგროვებისთვის ბლოკჩეინის ინფრასტრუქტურის გამოყენებით. ეს მექანიზმი მოიცავს სმარტ-კონტრაქტის დაწერას, რომელიც ინვესტორებს აძლევს კონკრეტულ კრიპტოვალუტის ერთეულებს (ტოკენებს) ინვესტიციის სანაცვლოდ. შემდგომ ეს ერთეულები შეიძლება გაიყიდოს სპეციალურ ბირჟებზე და მიღებული იყოს ინვესტიციის დაბრუნება“.

- ICO ჯერ კიდევ არ არის მკაცრად რეგულირებული კანონით. ამჟამად ბევრ ქვეყანაში არ არსებობს ნორმატიული სამართლებრივი ბაზა, რომელიც ადგენს ICO-ს ჩატარების წესებს.

ICO-ს უპირატესობები ერთდროულად განსაზღვრავს მის ნაკლოვანებებსაც. ICO-ს არარსებული რეგულირება, ტოკენის ბუნების ბუნდოვანება, ინვესტორების უფლებების გაურკვეველობა და სხვ. ორგანიზატორებს სახსრები მარტივად დაგროვების შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ არ იცავს ინვესტორების უფლებებს. შედეგად წარმოიქმნება პრობლემები. კერძოდ:

- აქციონერების, როგორც ინვესტორების, ინტერესები და უფლებები IPO-ს ფარგლებში კანონით განსაზღვრულია და დაცულია. ICO-ს ინსტრუმენტები კი არის ტოკენები. ტოკენები - ეს არის დაპირება რაღაცის მომავლისთვის. მომავალი ზოგჯერ განსაზღვრულია (თვე, წელი, მოვლენა), ზოგჯერ - არა. თუმცა, დაპირებები ხშირად საკმაოდ ბუნდოვანია. მოვიყვან პირობით მაგალითს: განხორციელებულ ინვესტიციურ პროექტში ინვესტორი, პროექტში ჩადებული თანხის წარმატებული განხორციელების შემთხვევაში, იღებს გარკვეულ ბონუსებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, რომელიც დაფინანსებულია ამ პროექტის ფარგლებში. თუმცა, რა ბონუსები იქნება, როდის დაიწყება და რა ვადით მიიღებს ინვესტორი, ეს ყველაფერი წინასწარ არ არის განსაზღვრული.

- ყველა პროექტი, რომელშიც ICO-თი ინვესტიცია ხდება, წარმატებით არ სრულდება. შესაბამისად, ინვესტორებმა შეიძლება განიცადონ ზარალი.

- ICO არის თაღლითებისათვის „სამოთხეა“ — სრული დეცენტრალიზაცია, არანაირი რეგლამენტი ICO-ს ჩატარებაზე, არანაირი კონტროლი და პასუხისმგებლობა ინვესტორების წინაშე. დაპირდი ინვესტორებს „სამ თუნუქს“, მიიღო ფული, ხოლო შემდეგ „თუნდაც ბალახი არ გაზარდოს“.

ICO წარმოადგენს იმგვარ პრიმარულ (პირველად) ბაზარს, სადაც ტოკენების გამოშვება და განთავსება

ხდება პირველადი ინვესტორებს შორის. შემდეგ ტოკენების მფლობელებს შეუძლიათ მათი გაყიდვა კრიპტობირჟებზე. ტოკენების გადაცემა ხელიდან ხელში ქმნის მეორად ბაზარს, რომელიც წარმატებით ვითარდება. ზოგჯერ ამ ბაზარზე შემოსავალი ასტრონომიულ ნიშნულს აღწევს.

„ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ტოკენების განთავსება იყო Stratis-ის ტოკენების გაყიდვა. თუ გაყიდვების დაწყებისას ტოკენის ღირებულება იყო 0,007 აშშ დოლარი ერთეულზე, პიკზე მან მიაღწია 10,58 აშშ დოლარს. შესაბამისად, პროცენტულად შემოსავალმა (შესაბამისი ყიდვის დაწყებითი ფასითა და მაქსიმალური გაყიდვით) შეადგინა 151 082% და ეს არ არის ერთადერთი მაგალითი. აქ არის კიდევ რამდენიმე: SpectroCoin (დაწყებითი ფასი 0,001 აშშ დოლარი, მაქსიმალური ფასი 0,15 აშშ დოლარი, შემოსავალი 18 707%), Storj — სერვისი, რომელიც კრიპტოვალუტის საშუალებით სთავაზობს დისკის სივრცის გაყიდვას (დაწყებითი ფასი 0,01 აშშ დოლარი, მაქსიმალური 1,2 აშშ დოლარი, შემოსავალი თითქმის 12 000%). აღნიშნული მაგალითების მიხედვით შემოსავლის ციფრები, რა თქმა უნდა, ძალიან მაღალია. მაგრამ სხვა ICO-ებიც ხშირად აჩვენებენ კარგ შედეგებს“.

ICO-ს სპეკულაციურმა კომპონენტმა დროთა განმავლობაში შესაძლოა გადაფაროს საინვესტიციო კომპონენტი, როგორც ეს მოხდა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ეს კი ნიშნავს, რომ ICO ბაზარი წყდება რეალური ეკონომიკის სექტორს და ხდება ფინანსური ბაზრის „პარაზიტული“ სეგმენტი.

დასკვნა

ზოგადად, ზემოაღნიშნული მაგალითების და რეალური მდგომარეობის განზოგადებით შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

- კრიპტოვალუტა აღმოცენდა როგორც ფულის მიმოქცევის, ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციის განვითარების ევოლუციური ეტაპი.

- კრიპტოვალუტის ბაზარი, სადაც თვით კრიპტოვალუტა წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, არ აქვს რაიმე კავშირი რეალურ ეკონომიკურ სექტორთან და ამიტომ თავიდანვე არის ფინანსური ბაზრის „პარაზიტული“ სეგმენტი;

- კრიპტოვალუტიდან წარმოებული ICO-ს ბაზარი კი იშორებს თავს რეალურ ეკონომიკურ სექტორიდან და ხდება ფინანსური ბაზრის „პარაზიტული“ სეგმენტი.

ზოგიერთ ქვეყანაში კრიპტოვალუტა სახელმწიფო დონეზე აკრძალულია. აღნიშნულ ვითარებას შემდეგ ნაირად ასაბუთებენ: «ვირტუალურ ვალუტებს არ გააჩნიათ უზრუნველყოფა და იურიდიულად პასუხისმგებელი სუბიექტები. მათთან დაკავშირებული ოპერაციები სპეკულაციური ხასიათისაა, ხორციელდება ე.წ. „ვირტუალურ ბირჟებზე“ და ღირებულების დაკარგვის დიდ რისკს ექვემდებარებიან. შესაბამისად, ამიტომაც აიკრძალა ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ფულის სუროგატების გამოშვება.

ბოლო პერიოდში სახელმწიფო სტრუქტურებისა და პირველ რიგში ცენტრალური ბანკების პოზიცია იცვლება. მაგალითად, დაისვა საკითხი ერთიმეორისაგან გაემიჯნათ კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის ტექნო-

ლოგიები. „როგორც ნებისმიერი სიახლე, ბლოკჩეინის ტექნოლოგია ინვესტორ აზრთა სხვაობასა და დავებს მსოფლიო საზოგადოებაში. თუმცა ბევრი თანხმდება ერთ პოზიციასზე - ბლოკჩეინი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებათაგანი ბოლო ათწლეულებში, რომელსაც უნარი შესწევს, რომ გადატრიალება მოახდინოს არა მხოლოდ ფინანსურ ინდუსტრიაში, არამედ ცხოვრების ბევრ სხვა სფეროში.“(2)

ბლოკჩეინის მეშვეობით შეიძლება შეიქმნას ახალი ფინანსური ტექნოლოგიები და კრიპტოვალუტებზე დაქვემდებარებული საკანონმდებლო ბაზრის საფუძველზე შეიძლება მასზე კონტროლი განხორციელდეს. ამიტომ 2016 წლის თებერვალში ცენტრალურმა ბანკმა შექმნა მუშა ჯგუფი, ახალი ფინანსური ტექნოლოგიებისა და მათ შორის ბლოკური ჯაჭვის გამოყენების შესაძლებლობების, ანალიზისა და შეფასებისათვის, (რასაც ეფუძნება ბიტკოინი და ბევრი ალტკოინები).

მსოფლიო ფინანსური სისტემა ვითარდება არასწორ-ხაზოვნად. ბლოკჩეინის ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება გახდეს რევოლუციური გარღვევა, რომელიც გარდაქმნის მსოფლიო ფინანსურ სისტემას და მას პრინციპულად ახალ დონეზე აიყვანს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ზოგიერთი ქვეყნის საზოგადოების განწყობა, რომელიც წინააღმდეგი ბანკთაშორისი გადახდები მთლიანად გადავიდეს ბლოკჩეინ-საფუძველზე და ამჟამად მოქმედ SWIFT სისტემაზე.

კომპანიების აქციებში ინვესტირება, რომლებიც დაკავშირებულია კრიპტოვალუტის ბაზრის ციფრულ ტრანსფორმაციასთან, საშუალებას აძლევს ინვესტორებს გაამრავალფეროვნონ თავიანთი საინვესტიციო პორტფელი, უზრუნველყონ აქტივების დაცული შენახვა და მიიღონ მოგება ტექნოლოგიური ინოვაციებისგან. თუმცა, ასეთ კომპანიებთან დაკავშირებული აქციების ღირებულება შეიძლება დამოკიდებული იყოს მთლიანად საფონდო ბაზრის მდგომარეობაზე და მათი ზრდა შესაძლოა ჩამორჩებოდეს თავად კრიპტოვალუტების ფასების ზრდას.

კრიპტოვალუტით დამოუკიდებელი ვაჭრობა ხსნის შესაძლებლობებს მნიშვნელოვანი მოგებისთვის, იძლევა პირდაპირი კონტროლის საშუალებას ინვესტიციებზე და გამორიცხავს შუამავლების საჭიროებას. თუმცა კრიპტოვალუტის ბაზარი ხასიათდება მაღალი ვოლატიურობით, საჭიროებს სწავლასა და კვლევას, ასევე აჩენს უსაფრთხოების გამონევენებს კრიპტოვალუტის შენახვის კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Arabashvili M. 2024. Challenges of integrating cryptocurrency into the Georgian financial system and a strategic approach to blockchain and real estate to combat corruption. URL: https://www.researchgate.net/publication/388969935_kriptoalutis_sakartvelos_pinansur_sistemashi_integriribis_gamotsvevbi_da_strategiuli_midgoma_

blokcheinisa_da_udzravi_konebis_mimart_koruptsiis_tsi-naaghmdag_sabrdzolvelad (in Georgian);

2. Business Dynamic Statistics. URL: <https://coinmarketcap.com/all/views/all/>;

3. Evtushenko A., Polyakov E. 2016. What is blockchain and why this technology will soon change the world. (in Russian);

4. Extance A. 2015. The future of cryptocurrencies: bitcoin and beyond. Nature. №526 (7571) pp.21-23;

5. Genkin A., Mikheev A. 2018. Blockchain - how it works and what awaits us tomorrow. M.: Alpina Publisher., 148 p. (in Russian);

6. How to buy Bitcoin futures. URL: <https://decenter.org/p/120-cryptocurrencies-in-2018-rus>;

7. Kandelaki N. Blockchain technology and its future in e-Government. The science journal "Authority and society (history, theory, practice)". №1 (49). Tbilisi. 2019. (in Georgian);

8. Lekashvili, E., Mamaladze, L., 2019. Crypto currency – a new challenge for the economy of Georgia. Copernican Journal of Finance & Accounting, 7(4): 87–97. DOI: <http://dx.doi.org/10.12775/>;

9. Nakamoto, S. 2008. "Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System". <https://bitcoin.org/bitcoin.pdf> ;

10. Petriashvili D. 2022. Regulation of the Crypto Ecosystem. Economic and Legal Analysis. Tbilisi: Research Center of the Parliament of Georgia. 68 p. (in Georgian);

11. Qoqiauri L. 2018. Financial Markets: monograph/ edited by O. Prokopenko. Poland. 2019. 448p. ISBN 978-83-61429-15-9;

12. Qoqiauri L. 2024. Money. monograph. Tbilisi: Publishing House Kalmosani, 676p. ISBN 978-9941-506-78-9 (in Georgian);

13. Qoqiauri L. 2025. Investment Activities. 7 Volumes. Volume 2. Investment Management and Policy. Tbilisi: Publishing House Kalmosani, 777p. ISBN 978-9941-517-36-5 (in Georgian);

14. Sichinava D. Maghradze M. 2018. "Preconditions and problems of transition to electronic money" – international scientific-practical journal "Globalization & Business" № 6, pp. 177-183. <https://www.eugb.ge/archive.php>;

15. Sichinava D., Magradze M. 2018. Cryptocurrency: Current Situation and Prospects of Development. TSU III International Scientific Conference Challenges Of Globalization In Economics And Business Proceedings. pp. 347-351 (in Georgian);

16. Swan, M., 2015. Blockchain: Blueprint for a new economy. O'Reilly Media. ISBN-10: 9781491920497;

17. Vigna P., Casey Michael J. 2015. The Age of Cryptocurrency: How bitcoin and the Blockchain Are Challenging the Global Economic Order. St. Martin's Press, New York. 432 p.;

18. Zaporozhan A. 2018. Evolution of the Financial Market. Cryptocurrency. Management Consulting. No. 5. pp.77-86 (in Russian).